2025 წლის 13 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსული წერილობითი მომართვებისა და განცხადებების შესრულების ზოგადი სტატისტიკა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 13 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით შემოსულია სულ 7 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციის მიწოდების თაობაზე 8 მოთხოვნას. ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

2025 წლის სამ თვეში საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებული არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლოს მიერ საკრებულოსათვის ხარჯების გადახდის ვალდებულება დაკისრებული არ არის, შესაბამისად, ამ მიმართულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯები არ გაწეულა.

2025 წლის სამ თვეში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე, გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სხვადასხვა დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი,
ბერიკა გრძელიშვილი